მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელ.: (+99532) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

14 ნოემბერი, 2022
№ 22/09-03-107

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს
ქალბატონ ბაია ოტიაშვილს

ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას წარმომადგენელის
ნინო გუჯარაიძის

განცხადება

/ხარვეზის გამოსწორების თაობაზე - საქმე #3/7382-22/

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით დადგენილი ხარვეზის გამოსწორების მიზნით წარმოგიდგენთ სარჩელზე თანდართულ დოკუმენტაციას მატერიალური სახით ორ ასლად.

დანართი 1. სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი - 1 ფურცელი;
დანართი 2. ადმინისტარციული საჩივარი - 4 ფურცელი;
დანართი 3. მთავრობის ადმინისტრაციის პასუხი - 1 ფურცელი.

დანართი სულ: 6 ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
შემოსვლის თარიღი 16.11.22
3
64 568 28
ფურცლების რაოდენობა 07-01-06-01

მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელ.: (+99532) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

24 ოქტომბერი, 2022
22/09/03-102

საქართველოს პრემიერ მინისტრს

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი:
ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ (ს/კ: 204952676)

ადმინისტრაციული საჩივარი

გასაჩივრებული ქმედება:
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირის უარი (ვირტუალური ქმედება, რეალაქტი) ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2022 წლის 14 სექტემბრის №22/09/03-93 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ.

ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნა:
ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის უარი (ვირტუალური) მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადმოცემის შესახებ და დაევალოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს "მწვანე ალტერნატივას" 2022 წლის 14 სექტემბრის №22/09/03-93 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა.

გარემოებანი, რომელსაც ეფუძნება საჩივრის მოთხოვნა:

1. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივამ" 2022 წლის 14 სექტემბერს №22/09/03-93 განცხადებით მიმართა - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და მოითხოვა: საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის №1016 განკარგულების საფუძველზე, 2022 წლის მარტში ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისში განვითარებული გეოდინამიკური პროცესების გამომწვევი მიზეზების დადგენისა და სტიქიის არეალში მოქცეული საკარმიდამო ნაკვეთებისა და საცხოვრებელი სახლების საცხოვრებელი სახლების იდენტიფიცირების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის მიერ საქართველოს მთავრობისათვის წარდგენილი საქმიანობის ანგარიშებისა და კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის ასლის გადმოცემა.

ზემოაღნიშნული განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია განმცხადებელს დღემდე არ გადმოსცემია.

[redacted]

მტკიცებულება:
დანართი #1. - ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2022 წლის 14 სექტემბრის №22/09/03-93 წერილი.

საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები:

1. სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლით ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრებული ვალდებულების შესრულება არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე კოდექსის 2.1 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება – უარი საჯარო ინფორმაციის გადმოცემაზე არ აწესებს, არ ცვლის, არ წყვეტს და არ ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი).

მაშასადამე, აღნიშნული გადაწყვეტილება (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი „ვირტუალური რეალაქტი“) ფორმალურ–სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს არა ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტს, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ისეთ ქმედებას, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემას ანუ სახეზეა რეალაქტი, რომელიც გამოიხატა ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობაში, მის მიერ საჯარო უფლებამოსილების კანონდარღვევით განხორციელებაში, რაც სზაკ–ის 5.1 მუხლის შესაბამისად დაუშვებელია.

3. სზაკ-ის 178.1 მუხლის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი. განსახილველ შემთხვევაში იმის გათვალისწინებით, რომ ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ საჯარო ინფორმაცია გამოთხოვილია და შესაბამისად პასუხი („ვირტუალური“ უარი, რეალაქტი) გაცემულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, რომლის ზემდგომ თანამდებობის პირს წარმოადგენს საქართველოს პრემიერ მინისტრი, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სწორედ საქართველოს პრემიერ მინისტრი.

2

4. ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია: ა) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი, რომლის თანახმად ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებანი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები. ბ) საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი, რომლის თანახმად ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვა საშუალებით.

5. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად, ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ დაცულ სხვა ოფიციალურ დოკუმენტს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, რომელიც არ განეკუთვნება სახელმწიფო, პროფესიულ და კომერციულ საიდუმლოებას. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ უკანონოა.

6. სზაკ-ის 41.2 მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას. სზაკ-ის 5.1, 96-ე და 41-ე მუხლებით დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება და აწარმოოს საჭირო კონსულტაციები შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ან/და საჯარო დაწესებულებებთან, რაც ადმინისტრაციულმა ორგანომ არ შეასრულა. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით და უგულვებელყოფით არ დააკმაყოფილა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას" განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ.

სზაკ-ის 177.3 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელიც არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან საჩივრდება ამ თავით (სზაკ-ის XIII თავი) დადგენილი წესით, მაშასადამე ერთი თვის ვადაში.

წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, დაცულია ამ კოდექსის 181-ე მუხლით გათვალისწინებული საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის კანონით გათვალისწინებული 30 დღიანი ვადა (გასაჩივრებული ქმედება - „ვირტუალური" უარი ანუ რეალაქტი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე სახეზეა 2022 წლის 24 სექტემბერს, რადგანაც ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" მიერ საჯარო ინფორმაცია გამოთხოვილია 2022 წლის 14 სექტემბრის №22/09/03-93 წერილით). არ არსებობს ამავე კოდექსის 182-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები, ადმინისტრაციული საჩივარი წარმოდგენილია უფლებამოსილ ორგანოში, რის საფუძველზეც გთხოვთ:

1. მიიღოთ ადმინისტრაციული საჩივარი წარმოებაში;
2. განიხილოთ ადმინისტრაციული საჩივარი ზეპირი მოსმენით საჩივრის შემომტანი პირის აუცილებელი მონაწილეობით;
3. ბათილად იქნეს ცნობილი - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირის უარი (ვირტუალური) მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადმოცემის შესახებ; და
4. დაევალოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2022 წლის 14 სექტემბრის №22/09/03-93 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა.

საჩივარზე დართული დოკუმენტების ნუსხა:

1. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2022 წლის 14 სექტემბრის №22/09/03-93 წერილი (განცხადება) - 1 ფურცელი;
2. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას" ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - 2 ფურცელი;
3. რწმუნებულებები - 2 ფურცელი.

დანართი სულ: 5 ფურცელი.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი
ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი

4

საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

GOV 2 22 00034717

28/10/2022

ა(ა)იპ – მწვანე ალტერნატივას
აღმასრულებელ დირექტორს ნინო გუჯარაიძეს
მისამართი: ქ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის 39^{ბ}, მე-4 სართული
ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org
ტელ: 222 38 74

ქალბატონო ნინო,

თქვენ მიერ 2022 წლის 14 სექტემბერსა და 24 ოქტომბრს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში წარმოდგენილი N29527 და N34251 კორესპონდენციების პასუხად, რომლითაც ითხოვთ „2022 წლის მარტში ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისში განვითარებული გეოდინამიკური პროცესების გამომწვევი მიზეზების დადგენისა და სტიქიის არეალში მოქცეული საკარმიდამო ნაკვეთებისა და საცხოვრებელი სახლების იდენტიფიცირების მიზნით უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის N1016 განკარგულებით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას, გაცნობებთ, რომ აღიშნული ინფორმაციის გაცემის შესახებ მოთხოვნა გადაიგზავნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოში.

პატივისცემით,

დეპარტამენტის უფროსი
სიჭინავა სოფიო

5

სს. „თიბისი ბანკი“

09/11/2022 10:45:59 AM

საგადასახადო დავალება # 479 GEL
Payment Order

თარიღი / Date: 08/11/2022

რეფერენსი / Ref. Num.: 8223405808

გადამხდელი / sender	ასოციაცია 'მწვანე ალტერნატივა', 204952676
გადამხდელის ანგარიში / Sender's Account	GE53TB0600000004700030
გადამხდელის ბანკი / Sender's bank	სს თიბისი ბანკი
ბანკის კოდი / Bank Code	TBCBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
inforamtion on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name	ასოციაცია 'მწვანე ალტერნატივა', 204952676
საიდენთიფიკაციო კოდი / Sender"s Tax Code	204952676
მიმღები / ReceIver	ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ
მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. /Treasury Code	300773150
მიმღები ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury	ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური
ბანკის კოდი / Bank Code	TRESGE22
გადახდის დანიშნულება / Operation Details	სახელმწიფო ბაჟი სასამართლოში განსახილველ საკითხებზე
დამატებითი ინფორმაცია / Additional information	სახელმწიფო ბაჟი სასამართლოში განსახილველ საკითხებზე

თანხა / Amount	100.00 GEL
თანხა სიტყვიერად / Amount in words	ასი ლარი 00 თეთრი
გადარიცხვის საკომისიო / Transfer Fee	0.9 GEL
ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი/Document submission/receiving date	08/11/2022
ხელმოწერა / Signature	

8223405808

ხელმოწერები
Signatures

ბ.ა.

შტამპის ადგილი

ნათია გურჩიანი

TBC BANK TBCBGE22 035041 CODE

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.საგადახდო დავალების საკომისიოს დათვლის პრინციპი შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე: www.tbcbank.ge

ნ

მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელ.: (+99532) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

24 ოქტომბერი, 2022
22/09/03-102

საქართველოს პრემიერ მინისტრს

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი:
ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“ (ს/კ: 204952676)

ადმინისტრაციული საჩივარი

გასაჩივრებული ქმედება:
საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირის უარი (ვირტუალური ქმედება, რეალაქტი) ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2022 წლის 14 სექტემბრის №22/09/03-93 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ.

ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნა:
ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის უარი (ვირტუალური) მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადმოცემის შესახებ და დაევალოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს "მწვანე ალტერნატივას" 2022 წლის 14 სექტემბრის №22/09/03-93 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა.

გარემოებანი, რომელსაც ეფუძნება საჩივრის მოთხოვნა:

1. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივამ" 2022 წლის 14 სექტემბერს №22/09/03-93 განცხადებით მიმართა - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს და მოითხოვა: საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის №1016 განკარგულების საფუძველზე, 2022 წლის მარტში ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისში განვითარებული გეოდინამიკური პროცესების გამომწვევი მიზეზების დადგენისა და სტიქიის არეალში მოქცეული საკარმიდამო ნაკვეთებისა და საცხოვრებელი სახლების საცხოვრებელი სახლების იდენტიფიცირების მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის მიერ საქართველოს მთავრობისათვის წარდგენილი საქმიანობის ანგარიშებისა და კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის ასლის გადმოცემა.

ზემოაღნიშნული განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია განმცხადებელს დღემდე არ გადმოსცემია.

მტკიცებულება:
დანართი #1. - ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2022 წლის 14 სექტემბრის №22/09/03-93 წერილი.

საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები:

1. სზაკ-ის 2.1 მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. მაშასადამე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელზეც ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებანი.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლით ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაკისრებული ვალდებულების შესრულება არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. ამავე კოდექსის 2.1 მუხლის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება – უარი საჯარო ინფორმაციის გადმოცემაზე არ აწესებს, არ ცვლის, არ წყვეტს და არ ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. (ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი).

მაშასადამე, აღნიშნული გადაწყვეტილება (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი „ვირტუალური რეალაქტი“) ფორმალურ–სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს არა ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტს, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ისეთ ქმედებას, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემას ანუ სახეზეა რეალაქტი, რომელიც გამოიხატა ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობაში, მის მიერ საჯარო უფლებამოსილების კანონდარღვევით განხორციელებაში, რაც სზაკ–ის 5.1 მუხლის შესაბამისად დაუშვებელია.

3. სზაკ-ის 178.1 მუხლის თანახმად, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი. განსახილველ შემთხვევაში იმის გათვალისწინებით, რომ ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ მიერ საჯარო ინფორმაცია გამოთხოვილია და შესაბამისად პასუხი („ვირტუალური“ უარი, რეალაქტი) გაცემულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, რომლის ზემდგომ თანამდებობის პირს წარმოადგენს საქართველოს პრემიერ მინისტრი, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სწორედ საქართველოს პრემიერ მინისტრი.

4. ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია: ა) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი, რომლის თანახმად ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებანი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები. ბ) საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლი, რომლის თანახმად ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვა საშუალებით.

5. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად, ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ დაცულ სხვა ოფიციალურ დოკუმენტს, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, რომელიც არ განეკუთვნება სახელმწიფო, პროფესიულ და კომერციულ საიდუმლოებას. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ უკანონოა.

6. სზაკ-ის 41.2 მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას. სზაკ-ის 5.1, 96-ე და 41-ე მუხლებით დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება და აწარმოოს საჭირო კონსულტაციები შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ან/და საჯარო დაწესებულებებთან, რაც ადმინისტრაციულმა ორგანომ არ შეასრულა. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით და უგულვებელყოფით არ დააკმაყოფილა ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას“ განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ.

სზაკ-ის 177.3 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელიც არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან საჩივრდება ამ თავით (სზაკ-ის XIII თავი) დადგენილი წესით, მაშასადამე ერთი თვის ვადაში.

წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, დაცულია ამ კოდექსის 181-ე მუხლით გათვალისწინებული საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის კანონით გათვალისწინებული 30 დღიანი ვადა (გასაჩივრებული ქმედება - „ვირტუალური“ უარი ანუ რეალაქტი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე სახეზეა 2022 წლის 24 სექტემბერს, რადგანაც ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" მიერ საჯარო ინფორმაცია გამოთხოვილია 2022 წლის 14 სექტემბრის №22/09/03-93 წერილით). არ არსებობს ამავე კოდექსის 182-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები, ადმინისტრაციული საჩივარი წარმოდგენილია უფლებამოსილ ორგანოში, რის საფუძველზეც გთხოვთ:

1. მიიღოთ ადმინისტრაციული საჩივარი წარმოებაში;
2. განიხილოთ ადმინისტრაციული საჩივარი ზეპირი მოსმენით საჩივრის შემომტანი პირის აუცილებელი მონაწილეობით;
3. ბათილად იქნეს ცნობილი - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირის უარი (ვირტუალური) მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადმოცემის შესახებ; და
4. დაევალოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2022 წლის 14 სექტემბრის №22/09/03-93 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა.

საჩივარზე დართული დოკუმენტების ნუსხა:

1. ა(ა)იპ "მწვანე ალტერნატივას" 2022 წლის 14 სექტემბრის №22/09/03-93 წერილი (განცხადება) - 1 ფურცელი;
2. ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივას" ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - 2 ფურცელი;
3. რწმუნებულებები - 2 ფურცელი.

დანართი სულ: 5 ფურცელი.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი
ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი

საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

GOV 2 22 00034717

28/10/2022

ა(ა)იპ – მწვანე ალტერნატივას
აღმასრულებელ დირექტორს ნინო გუჯარაიძეს
მისამართი: ქ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის 39^{ბ}, მე-4 სართული
ელ. ფოსტა: greenalt@greenalt.org
ტელ: 222 38 74

ქალბატონო ნინო,

თქვენ მიერ 2022 წლის 14 სექტემბერსა და 24 ოქტომბრს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში წარმოდგენილი N29527 და N34251 კორესპონდენციების პასუხად, რომლითაც ითხოვთ „2022 წლის მარტში ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისში განვითარებული გეოდინამიკური პროცესების გამომწვევი მიზეზების დადგენისა და სტიქიის არეალში მოქცეული საკარმიდამო ნაკვეთებისა და საცხოვრებელი სახლების იდენტიფიცირების მიზნით უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 10 ივნისის N1016 განკარგულებით შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას, გაცნობებთ, რომ აღიშნული ინფორმაციის გაცემის შესახებ მოთხოვნა გადაიგზავნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ - მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოში.

პატივისცემით,

დეპარტამენტის უფროსი
სიჭინავა სოფიო

საგადასახადო დავალება
Payment Order

479 GEL

ს.ს. „თიბისი ბანკი“

თარიღი / Date: 08/11/2022

09/11/2022 10:45:59 AM

გადამხდელი / sender	რეფერენსი / Ref. Num.
ასოციაცია 'მწვანე ალტერნატივა', 204952676	8223405808
გადამხდელის ანგარიში / Sender's Account: GE53TB0600000004700030	თანხა / Amount
გადამხდელის ბანკი / Sender's bank — ბანკის კოდი / Bank Code	100.00 GEL
სს თიბისი ბანკი — *TBCBGE22*	
ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა / **inforamtion on a person on behalf of whom the payment is made**	თანხა სიტყვიერად / Amount in words
დასახელება / Name: *ასოციაცია 'მწვანე ალტერნატივა', 204952676*	ასი ლარი 00 თეთრი
საიდენთიფიკაციო კოდი / Sender"s Tax Code: 204952676	
მიმღები / ReceIver	გადარიცხვის საკომისიო / Transfer Fee
ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ	0.9 GEL
მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. /Treasury Code: 300773150	ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი/Document submission/receiving date
მიმღები ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury — ბანკის კოდი / Bank Code	08/11/2022
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური — *TRESGE22*	
გადახდის დანიშნულება / Operation Details	ხელმოწერა / Signature
სახელმწიფო ბაჟი სასამართლოში განსახილველ საკითხებზე	
დამატებითი ინფორმაცია / Additional information	
სახელმწიფო ბაჟი სასამართლოში განსახილველ საკითხებზე	
ხელმოწერები / Signatures — ბ.ა.	შტამპის ადგილი

8223405808

TBC BANK TBCBGE22 CODE 035041

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.საგადახდო დავალების საკომისიოს დათვლის პრინციპი შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე: www.tbcbank.ge

ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივა

საქართველო, 0179, თბილისი,
ფალიაშვილის ქ. 39ბ,
მე-4 სართული

20495266 76



GEORGIA TBILISI 15-11-2022 0179

საქართველოს ფოსტა

0100007857315

Georgian Post